საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№288/2

2023 წელი, 4 ოქტომბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 127-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. არანაკლებ 25000 ამომრჩევლის ინიციატივით „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით საქართველოს მოქალაქეების საინიციატივო ჯგუფის (ზვიად ტომარაძე, ნიკოლოზ კიკნაველიძე, ნიკოლოზ თურმანიძე, რამაზ ბექაური, ნიკოლოზ ხომასურიძე, თემურ ლომიძე, მარიამ აბაშიძე, დავით ნოზაძე, გივი შანიძე) განცხადება (N1-12929/23; 03.10.2023) გადაეცეს საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს.

2. საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა 5 დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — შალვა პაპუაშვილი